საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიში

საკვლევი თემა:

კითხვის უნარის დაუფლების პრობლემები და მათი გაუმჯობესების გზები დაწყებით საფეხურზე.

ავტორი: ირმა გუგავა სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის I-III კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

სარჩევი

თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. საკვლევი საკითხის განსაზღვრა ,მისი აქტუალობის დასაბუთება და პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები ----------გვ.3 -4-5

1.2 კვლევის მიზანი ------- ---------- - - - გვ.6
1.3 მთავარი საკვლევი კითხვების , ქვეკითხვების შერჩევა და ჩამოყალიბება ----------გვ.6
1.4.კვლევის ვადები----------გვ. 7

თავი II- ლიტერატურის მიმოხილვა ----------გვ.8-9-10-11

თავი III - მონაცემთა შეგროვების ხერხები
3.1კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგია --------- ------გვ.12
3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი ----------გვ.12
3.3.კვლევის ინსტრუმენტები ----------გვ.13

3.4 თვისობრივი კველვის ინსტრუმენტები ----------გვ 14;
3.5. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები----------გვ.14;

თავი IV-კვლევის შედეგები და შედეგების ანალიზი
4.1 შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი----------გვ. 15
4.2. გამოკითხვის შეგროვება და ანალიზი (მასწავლებლებში)--გვ.17-18-19
4.3. გამოკითხვის შეგროვება და ანალიზი (მშობლებში)-------გვ.20-21-22-23
4.4. გამოკითხვის შეგროვება და ანალიზი (მოსწავლეებში)--გვ.24-25-26-27

თავი V ინტერვენციის შეფასება

5.1.შესაძლო ინტერვენციები----------გვ.28
5.2.განხორციელებული ცვლილებები----------გვ.28-29-30
5.3.ინტერვენციის შეფასება----------გვ.31-32

თავი VI -კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, დასკვნა , ბიბლიოგრაფია , დანართები.

6.1 კვლევის მიგნებები----------გვ.32
6.2 დასკვნა ----------გვ.33
6.3 რეკომენდაციები----------გვ.34

თავი VII—ბიბლიოგრაფია ; კვლევის შედგების გაზიარება ;დანართები

7.1 ბიბლიოგრაფია ----------გვ.35
7.2.რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე----------გვ.36-37-38
7.3 დანართები
მასწავლებლის კითხვარი **დანართი 1.**---------- გვ. 39 -40-41
მშობლების კითხვარი **დანართი 2.** ---------- - - გვ.42-43-44
მოსწავლის კითხვარი კითხვარი **დანართი 3.** ---------- გვ.45-46

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში.

ნაშრომში განხილულია კითხვითი უნარების პრობლემები და მის გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები.
ნაშრომი შედგება 7(შვიდი) თავისაგან. I თავში განხილულია პრობლემა და დასაბუთებულია მისი აქტუალობა. ასევე მოცემულია პრობლემების გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, კვლევის მიზანი,კვლევის ამოცანები.განსაზღვრულია საკვლევი საკითხის მთავარი კითხვები და ქვეკითხვები, ასევე კვლევის ვადები.

II **თავი** ეთმობა ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას, ,III თავში განხილულია მონაცემთა შეგროვების ხერხები ,IV თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს,Vთავი მოიცავს შესაძლო ინტერვენციებს,განსახორციელებელ ცვლილებებს და შედეგებს. VI თავი ეხება კვლევის მიგნებებს, გაკეთებულია დასკვნა და მოიცავს რეკომენდაციებს .VII თავში მოცემულია ბიბლიოგრაფია, კვლევის რეფლექსია და დანართები.

თავი I -საკვლევი საკითხის მიმოხილვა

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია საკვლევი საკითხის შერჩევის და განსაზღვრის, მისი აქტუალობის დასაბუთების, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების, კვლევის მიზნების, მთავარი საკვლევი კითხვების და ქვეკითხვების შესახებ.

1.1.საკვლევი საკითხის განსაზღვრა ,მისი აქტუალობის დასაბუთება და პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნების და მიდგომების შესაბამისად, როცა აქცენტი გაკეთებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, დიდ მნიშვნელობას იძენს მოსწავლესა და მოსწავლის შედეგებზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. ამ პროცესის წარმართვას უზრუნველყოფს გაკვეთილზე გამოყენებული თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება .

საკვლევი საკითხის შერჩევა განაპირობა მისმა აქტუალობამ. მიმაჩნია ,რომ დაწყებით საფეხურზე კითხვის უნარ-ჩვევები ერთ-ერთი ის საყრდენია,რომელზეც უნდა დაშენდეს მოსწავლის ცოდნა ყველა საგანში.

სწორედ ამიტომაც ამ კვლევის საფუძველი გახდა კითხვის პრობლემა დაწყებით კლასებში.პრობლემა რომ გლობალურია ამას ადასტურებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემები ც. 2006 წელს საქართველო საერთაშორისო საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (PIRLS) კვლევაში ჩაერთო. ამ კვლევაში მსოფლიოს 45 ქვეყანაა ჩართული, 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და მიზნად ისახავს სწავლების დონის ამაღლების გზების ძიებას. საქართველოში ამგვარი კვლევა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს სკოლის მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. 2011 წლის PIRLS-ის წიგნიერების კვლევის მიხედვით, 2006 წელთან შედარებით, საქართველოში კითხვის უნარების მონაცემები გაუმჯობესდა, თუმცა ამ შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება. ბავშვები ვერ აცნობიერებენ, რომ წიგნი არის ინფორმაციის მიღების ისეთი საშუალება, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თვალსაწიერის გაფართოება, თავისუფალი აზროვნების უნარის განვითარება.

დღეს, ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში, როდესაც მოთხოვნამ ინფორმაციის მოხმარებაზე უნდა მოიმატოს, ბავშვები წიგნებს ნაკლებად კითხულობენ, ვიდრე 20 და მეტი წლის წინ. ტელევიზიისა და ინტერნეტის მულტიმედიურ სამყაროში ცხოვრება - ეს ნიშნავს, რომ იოლად აღსაქმელ აუდიო-ვიზუალურ ინფორმაციას, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ტექსტურს. სწორედ ეს ფაქტი კლავს ბავშვებსა და მოზრდილებში კითხვის სურვილს. მილიონობით ვიდეორგოლი, ყოვლისშემძლე ანიმაციები, ვიდეოინსტრუქციები და სხვ. გვაჩვევს ცხოვრების მულტიმედიურ სტილს და გვიკლავს წარმოსახვის უნარს.

კითხვის უნარის განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის შესაძლებლობას გაიუმჯობესოს ინტელექტუალური თუ ყოფითი აზროვნება. სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც კითხვის უნარის შესწავლაც და რეალიზებაც კომპლექსური სახით ხდება.

პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირად შეიძლება შეგხვდეს ისეთი მოსწავლეები ,რომლებიც საგრძნობლად ჩამოჩებიან სწავლაში თანატოლებს და ვერ აღწევენ ესგ გათვალისწინებულ სტანდარტებს.ხშირად სხვადასხვა საგნების დაძლევას სწორედ ის მოსწავლეები ვერ ახერხებენ, რომლებსაც კითხვის პრობლემა აქვთ ვერ კითხულობენ ან არასწორად კითხულობენ წინადადებებს , რაც შესაბამისად ტექსტის გაგება-გააზრებას უშლის ხელს. სწორედ კითხვის უნარის არასათანადო ფლობაა მიზეზი მოსწავლეთა დაბალი აკადემიური შედეგის. რამდენიმე წელია დაწყებით კლასებში ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას და გულახდილად ვაღიარებ, რომ რამდენჯერმე დავდექი მსგავსი პრობლემის წინაშე.სწორედ ამიტომ გადავწყვიტე განმეხორციელებინა წარმოდგენილი პრობლემის კვლევა მასწავლებლებში, მოსწავლეებში და მშობლებში .

ჩემმა დაკვირვებამ და პედაგოგიურმა გამოცდილებამ გამოკვეთა, რომ მოსწავლეებს კითხვის უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი მეთოდური ლიტერატურა თუ სტატია, რომელსაც მასწავლებლები ვეცნობით, ვცდილობთ გავიაროთ ტრენინგ-კურსები, ვაგროვებთ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც აქტიურად ვიყენებთ სასწავლო პროცესში, ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა ეს პროცესი იყოს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული და შესაძლებლობებზე ორიენტირებული, საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას ,მაგრამ მაინც ვრჩებით გარკვეული პრობლემების და გამოწვევების წინაშე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ,იდენტიფიცირებული პრობლემა ხელს გვიშლის გაკვეთილზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში.

იმისათვის ,რომ დამედგინა რა იყო მოსწავლეებში კითხვის უუნარობის გამომწვევი ფაქტორები, საჭიროდ მივიჩნიე მეკვლია და მიმეგნო პრობლემის გამომწვევი მიზეზები და იმ გზების ეფექტურობა, რომელიც კვლევის ფარგლებში შევარჩიე. ვინაიდან ლიდერობის აკადემიის ფარგლებში მქონდა სკოლის საჭიროებების კვლევის პრაქტიკული გამოცდილება ,არ გამჭირვებია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელება . როგორც მასწავლებელმა, ჩემს მიერ შერჩეული საკითხის კვლევის მიზნით ,მოსწავლეებში კითხვის ტექნიკის დაუფლების ხარისხის დასადგენად ჩავატარე დიაგნოსტიკური შეფასება. სკოლა მცირეკონტიგენტიანია ,გაკვეთილები ტარდება კომპლექტურად, მუდმივი შეხება მაქვს I –IV კლასებთან . თავად ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი I და III კლასებს,ამიტომაც დიაგნოსტირებაში ჩავრთე ოთხივე კლასი. გამოვკითხე მშობლები და მასწავლებლები ,რის შედეგადაც გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი შემდეგი მიზეზები:

- ლექსიკური მარაგის სიმცირე მოსწავლეებში;
- ფონოლოგიური უნარის არქონა;

- არასასურველი სოციალური მდგომარეობა;
- მშობელთა ნაკლებჩართულობა მოსწავლის სწავლის პროცესში;
- წიგნზე მეტად კომპიუტერის გამოყენება;
- არასაკმარისი სკოლამდელი განათლება ;

1.2 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია მოსწავლეებში კითხვის უნარის დაუფლების პრობლემის დეტალურად შესწავლა ,პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძიება შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, რაც რეალურად გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხს, რომელიც აამაღლებს მათ აკადემიური მოსწრებას.

1.3 მთავარი საკვლევი კითხვების ,ქვეკითხვების შერჩევა და ჩამოყალიბება.

კვლევის ამოცანაა პასუხი გაეცეს საკვლევი საკითხის მთავარ კითხვას:

- რა არის დაწყებით საფეხურზე კითხვის უნარის დაუფლების პრობლემების მთავარი მიზეზები და რა ღონისძიებებს უნდა მივმართო პრობლემის დასაძლევად? ?

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზების დასადგენად კი ასევე მთავარი ამოცანაა პასუხი გაეცეს შემდეგ ქვეკითხვებს:

- აქვს თუ არა ადგილი ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარების დაბალ შედეგს დაწყებითი საფეხურის შესაბამის კლასებში და რატომ?
- არსებობს თუ არა ლექსიკური მარაგის სიმცირის პრობლემა მოსწავლეებში და რატომ?
- რა გავლენას ახდენს არასაკმარისი სკოლამდელი განათლება მოსწავლეებში?
- არის თუ არა მორგებული სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებზე ?

- არის თუ არა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კომპეტენცია საკმარისი არსებული პრობლემის დასაძლევად?
- რა გავლენას ახდენს სოციალური მდგომარეობა მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე (ამ შემთხვევაში კითხვის უნარის ათვისებაზე);

1.4 კვლევის ვადები

აქტივობა	ნოემბერი 2018 წელი	დეკემბერი 2018 წელი	იანვარი 2019 წელი	თებერვალი 2019 წელი	მარტი 2019 წელი	აპრილი 2019 წელი	მაისი 2019 წელი
პრობლემის იდენტიფიცირება	X						
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		X					
ინტერვიუ კლასის დამრიგებელთან		X					
ფოკუსჯგუფის ჩატარება პედაგოგებთან		X					
მოსწავლის კითხვარების შედგენა და გამოკითხვა			X				
პირველადი მონაცემების ანალიზი				X			
ინტერვენციების განხორციელება		X	X	X	X	X	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი						X	
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან							X

თავი II
ლიტერატურის მიმოხილვა

კითხვის უნარ-ჩვევების სათანადო განვითარება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს .2006 წლიდან საქართველო მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებაში, მათ შორის , წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS)აღნიშნული კვლევების შედეგები ცხადყოფს,რომ საქართველოს სკოლებში აუცილებელია კითხვის სწავლებისა და მოსწავლეთა სწავლის მიღწევების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.(PIRLS 2011 წიგნიერება/ანგარიში; თავი IV; გამოცდების ეროვნული ცენტრი 2011)

ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით წიგნიერება პირველ ადგილზეა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტნციათა შორის. წიგნიერება ვიწრო გაგებით ნიშნავს კითხვისა და წერის ცოდნას, ფართო გაგებით, იგი მოიცავს მრავალფეროვანი ჟანრის, სტილის, თემატიკის ტექსტების შექმნას, განხილვას, გადამუშავებასა და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უნარებს. ეფექტური კითხვა, თავის მხრივ, გულისხმობს კითხვის ტექნიკის გაწაფვას და წაკითხულის კრიტიკულად გააზრებას.

კითხვის უნარის განვითარება რთული პროცესია. ის ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარებას გულისხმობს: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული/გამართული კითხვა, გაგება-გააზრება. ისინი ერთმანეთს ეფუძნება და ერთ-ერთი უნარის არარსებობა, მეორეს განვითარებას უშლის ხელს.

სწორედ მასწავლებელია ის უმთავრესი ფიგურა,რომელმაც ისე უნდა წარმართოს სწავლება, რომ ყოველმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი განვითარების ფარგლებში ,როგორ დაძლიოს თითოეულმა კითხვაში გაწაფვის რთული **საფეხურები.**

კითხვის შესწავლის პროცესებზე ბევრი განსხვავებული ფაქტორი ახდენს გავლენას.ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ამ ფაქტორებიდან პირველ ადგილზე გამოვყოფდი ადრეულ სკოლამდელ განათლებას.მკვლევარებიც ამას ადასტურებენ . მაგალითად, „მასწავლებლის წიგნში“ (ჯანელიძე.ა ლაბარტყავა ნ. 2014 : 23) ვკითხულობთ, რომ მკვლევარები ხაზს უსვამენ წიგნთან ურთიერთობის მნიშვნელობას ადრეულ ასაკში. კითხვის მიმართ მოსწავლის/ადამიანის დამოკიდებულება ხშირად განპირობებულია იმით, თუ რამდენად ინტენსიურად ჰქონდა მას, ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში, ნაბეჭდ მასალებთან შეხება.

კითხვის სწავლების პროცესებზე, ასევე გავლენას ახდენს მოსწავლის კოგნიტური განვითარება. ჟ.პიაჟეს აზრით ,, სწავლა შედეგიანია მაშინ, თუ ის ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამება.'' ხოლო, ლ.ვიგოტსკის თეორიის მიხედვით პირიქით,,, სწავლა უწყობს ხელს განვითარებას''.(განვითარების და სწავლების თეორიები ; მასწ. პროფესიული განვითარების ცენტრი 2008)

როგორც არ უნდა იყოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კლასში შედიან სხვადასხვა გამოცდილების, განვითარებისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები, რომლებიც შედეგს თავისი განვითარების ფარგლებში აღწევენ. თითოეულ მოსწავლეს აქვს თავისი ინდივიდუალური განვითარების უახლოესი ზონა (ლ. ვიგოტსკი) და მასწავლებელმა ამ ზონის ფარგლებში უნდა გაუწიოს მას კონსტრუქციული დახმარება: „ბავშვის სწავლების პროცესი „ჯადოსნურ შუალედში" უნდა მიმდინარეობდეს, როცა სწავლა მათთვის არც მოსაწყენი იქნება და არც ძალიან რთული"(მ.მელიქიშვილი, 2012 : 21).

ისმება კითხვა: როგორ მოვიქცეთ და რა მექანიზმები გამოვიყენოთ ამისთვის?

G-PRIED-ის სასწავლო-მეთოდოლოგიურ რესურსების კრებული (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, 2015.) რომელიც დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ეფექტურ და ინოვაციურ მეთოდებს სთავაზობს, ამ კითხვებზე ამომწურავად გვაძლევს პასუხს. კერძოდ სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე - დიფერენცირებული სწავლება.

აღნიშნული სწავლება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდს მოითხოვს. სწავლების ამგვარი მიდგომა წარმატებით გამოიყენება კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში, რომლის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას გარკვეული საბაზო პრინციპები:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება.
- მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს მიეცეს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები.
- ყველა მოსწავლემ/ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი კითხვის პროცესში და წერითი დავალებების შესრულებისას.

როგორც გამოიკვეთა, მოსწავლის კითხვის უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართული გზები მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებაზე გადის.

შეფასებას წავლების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. კვლევები ცხადყოფს, რომ რეგულარულ შეფასებას მნიშვნელოვნად დიდი წვლილი შეაქვს მოსწავლის კითხვის უნარის გაუმჯობესებაში. ის მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები და ადეკვატური ცვლილებები განახორციელოს სწავლების პროცესში.

G-pried-ის კრებულიდან ასევე ვიგებთ, რომ კითხვის უნარის საკლასო შეფასების სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

- **სკრინინგი** - მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- **დიაგნოსტირება** - მოსწავლის წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების პოვნა;
- **პროგრესის მონიტორინგი** - სწავლება-სწავლის ეფექტურობის დადგენა, შუალედური შეფასება.

მასწავლებელი კონკრეტული ტიპის შეფასების მიზნით იყენებს შესაბამის ინსტრუმენტებს. თუმცა ზოგიერთი კარგად შედგენილი ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ორი, ან მეტი დანიშნულებით (როგორც სკრინინგის, ასევე დიაგნოსტირების, ან მონიტორინგის მიზნით).

სარესურსო კრებული, ასევე, იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორი ტექსტები და დავალებები უნდა შევარჩიოთ შეფასების ამა თუ იმ მონაცემებზე დაყრდნობით. ამგვარი მიდგომებით მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ ივითარებენ კითხვის კომპეტენციებს და მასწავლებლის დახმარებით, თანდათანობით ეუფლებიან გაგება-გააზრების სტრატეგიებს. მასწავლებელი, ასევე სხვადასხვა საშუალებებს იყენებს პატარა მკითხველებში მოტივაციის, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის გასაღვივებლად.

როცა კითხვაზე ვლაპარაკობთ ,აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან კითხვაში დამწყებისა და კითხვაში გაწაფულის ფიზიოლოგიური შესაძლებლობანი.ქართული ენის სწავლების მეთოდიკა ფსიქოლოგიის მონაცემებთან ერთად ეყრდნობა და იყენებს ფიზიოლოგიის მონაცემებსაც.სწორედ მოსწავლის ფიზიოლოგიის გათვალისწინებით შეიძლება შევარჩიოთ საკითხავი მასალის მოცულობა,მისი შრიფტი, და ა. შ.

კითხვა რთული ფსიქოფიზიოლოგიური პროცესია.მისი შესწავლისას ერთნაირად მოქმედებს როგორც სენსორული, ისე ინტელექტუალური ფაქტორები.მაგალითად ზოგს ოპტიკური მასალის დამახსოვრება უადვილდება, ზოგს -აკუსტიკურისა და ზოგს კიდევ მოტორულის .ამიტომაც არის ,რომ ზოგი ჩუმად (თვალით) წაკითხულ მასალას უფრო იმახსოვრებს(ოპტიკური ტიპი),ზოგი კი მასალის მოყოლისას მუდმივად მიმართავს ამა თუ იმ მექანიკურ მოძრაობას(მოტორული ტიპი),წმინდა სახით ეს ტიპები იშვიათად გვხვდება ,უფრო შერეული ტიპია გავრცელებული,ოღონდა ესა თუ ის ფაქტორი მაინც დომინირებს. მასწავლებელმა ეს მომენტები („ინტელექტთა ტიპები’’)აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თავის მუშაობაში ,ანგარიში უნდა გაუწიოს მოსწავლეთა ფსიქოფიზიოლოგიურ ,ინდივიდუალურ თავისებურებებს და მასალის მიწოდებისას ცალკეულ შემთხვევებში უპირატესობა მიანიჭოს აკუსტიკურ,ოპტიკურ ,ყველაზე ხშირ შემთხვევებში კი - აკუსტიკურ-ოპტიკურ ტიპებს ე.ი.ერთდროულად ჩართოს სწავლების პროცესში როგორც მოსწავლეთა სმენითი ,ისე -ოპტიკური შესაძლებლობანი.(ნ. მაღლაკელიძე „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა“2013:25)

ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება ,რაც გულისხმობს მოსწავლეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას. შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესში გასათვალისწინებელი სწავლა -სწავლების ძირითადი პრინციპებიდან ერთ-ერთი მთავარია მოტივაციის ამაღლება. იგი მნიშვნელოვანია სწავლების სამივე საფეხურზე, მაგრამ დაწყებითი კლასების მასწავლებელს კარგად უნდა ესმოდეს მისი ესოდენ განსაკუთრებული მნიშვნელობა კითხვის სწავლების ეტაპებზე. „პირველ რიგში ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება . ამისათვის თითოეულ მოსწავლეს ,მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა ,უნდა მივსცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით.“(„გზამკვლევი მასწავლებლებისთვის I-VIკლასებიქართული ენა და ლიტერატურა ’’2011:6)

თავი III - მონაცემთა შეგროვების ხერხები

3.1კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგია

კვლევაში გამოვიყენე არაალბათური შერჩევის ორი ტიპი:

- ✓ სრული შერჩევა-სამიზნე ჯგუფი I-IV კლასის მოსწავლეები;
- ✓ მიზნობრივი შერჩევა-სამიზნე ჯგუფი I-IV კლასის მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები ;

- სრული შერჩევა-გამოვიყენე იმიტომ, რომ ძირითადად ეს სტრატეგია გამოიყენება სამოქმედო კვლევებში .შერჩეული მოსწავლეების რაოდენობა იყო 9 მოსწავლე . მათ პირდაპირი კავშირი აქვთ შესასწავლ საკითხთან.სწორედ ამ კლასებში იკვეთება საკვლევი საკითხის პრობლემა.
- მიზნობრივი შერჩევა-მეტწილად გამოიყენება თვისობრივი ვლევის დროს და შესაბამისად ,ხშირად ვხვდებით შერჩევის ამ სტრატეგიას.ამ დროს შევარჩიე ის პირები,რომლებსაც უშუალოდ ასწავლიან ამ კლასებს და ასევე მშობლები ,რომლებსაც ასევე მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შუძლიათ.საკითხის მიმართებაში ორივეს დამოკიდებულებები და მოსაზრებები ძალზედ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია . ჩავთვალე, რომ აღნიშნული გამომადგება კვლევის მომდევნო ეტაპებზე დაიმ ცვლილებების განხორციელებაზე ,რაც კვლევის შდეგად უნდა დაინერგოს.

3.2 კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენე როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები.

3.2.1 თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები

თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოვიყენე დაკვირვება, უფრო ზუსტად ჩართული დაკვირვება, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- **აღწერითი დაკვირვება** – დაკვირვება მთლიან პროცესზე, რა მოცემულობა გვქონდა კითხვის ტექნიკის ფლობის მიმართულებით სამიზნე მოსწავლეებში.რამდენად ხშირად სარგებლობდენ მოსწავლეები ბიბლიოთეკით, რამდენად კითხულობენ იმ ტექსტებს, მასწავლებელმა ან თანაკლასელებმა რომ ურჩიეს.

- **ფოკუსირებული დაკვირვება** – - ეს მეთოდი გამოვიყენე ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით საგაკვეთილო პროცესის დასაკვირვებლად.

- **შერჩევითი დაკვირვება** – რამდენად სრულდება რეკომენდაციები, რამდენად მოხდა პრობლემის აღმოფხვრა, გაიზარდა თუ არა მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა ინტერესი.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

თვისობრივი კვლევის გამოყენებამ კონკრეტულად ნახევრადსტრუქტურირებულმა ინტერვიუმ დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან(სულ 8 მასწავლებელი) შესაძლებლობა მომცა მომეპოვებინა ინფორმაცია კონკრეტული ჯგუფის ,მასწავლებლების ,კვლევის ძირითადი საკითხის მიმართებაში მათი

მოსაზრებების შესახებ.მასწავლებლებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარების მიზნით შვიმუშავე კითხვები სადისკუსიოდ.ჩემი მიზანი იყო საკვლევკითხვასთან დაკავშირებით მასწავლებლებისგან მიმეღო მნიშვნელოვანი და მაქსიმალური ინფორმაცია.ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ წარიმართა წინასწარ მომზადებული და ინტერვიუს დროს წარმოშობილი ღია კითხვებზე დაყრდნობით.ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 40 წუთი.

3.2.2. **რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები**

კვლევის პროცესში გამოვიყენე რაოდენობრივი კვლევის შემდეგი ინსტრუმენტი:

- ✓ ანკეტირება მასწავლებლებთან
- ✓ ანკეტირება მშობლებთან
- ✓ ანკეტირება მოსწავლეებთან

 რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე ანკეტირება I-IV კლასის 9 მოსწავლესთან , 8 მშობელთან,8 მასწავლებელთან. გამოვიყენე წინასწარ მომზადებული კითხვები. მასწავლებელთა კითხვარი შდგებოდა 13 კითხვისგან,მოსწავლეთა კითხვარი 12 კითხვისგან,მშობელთა კითხვარი კი 14 კითხვისგან. ანკეტირება არ აღემატებოდა 25 წუთს .კითხვარის შედგენისას გამოვიყენე დახურული კითხვები.კითხვარს დავურთე წერილი ,რომლის მიზანი იყო გამეცნო რესპოდენტებისთვის კვლევის არსი და მნიშვნელობა და დამერწმუნებინა ,რომ დაცული იქნებოდა მათი კონფიდენციალობა.ვიფიქრე ,რომ ანონიმურად პასუხის გაცემის დროს რესპოდენტი გულწრფელია და შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები ზუსტი და სანდოა. ჩავთვალე,რომ მშობლებისგან ამ გზით მივიღებდი პასუხებს კითხვებზე-რა არის ის პრობლემები ,რომლებიც ხელს უშლის კითხვის ტექნიკის სათანადოდ დაუფლებას? რამდენად ხშირად კითხულობენ სახლში მოსწავლეები? რა დოზით არიან მშობლები ჩართული თავიანთი შვილების სწავლის პროცესში? თითოეულ მათგანს მადლობას ვუხდით თანამშრომლობისათვის.

  შემდეგ მოვახდინე მიღებული ინფორმაციის, შედეგების გაანალიზება, დამუშავება. ფოკუს–ჯგუფების შედეგად მიღებული თვისობრივი ინფორმაცია, როგორც წესი, ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს და სასარგებლო მასალას იძლევა.

ზემოდგანხილულმა კვლევის მეთოდებმა საშუალება მომცა სიღრმისეულად შემესწავლა საკვლევი თემა.

თავი IV კვლევის შედეგები

4.1. შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი

წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ კვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს. რადგან კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც თვისობრივი კვლევის , ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ამიტომ შესაბამისად მოვახდინე მონაცემთა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი ანალიზი.

პირველ რიგში წარმოვადგენ კითხვის ტექნიკის ფლობის ხარისხის დასადგენად მოსწავლეებში ჩატარებულ დიაგნოსტიკური შეფასების შედეგებს :



კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის შემდეგი ინსტრუმენტი:

- ✓ ანკეტირება-დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან .(სულ 8 მასწავლებელი .)

მასწავლებლებისთვის წინასწარ მოვამზადე კითხვარი(დანართი N 1) ამით შევძელი შემეგროვებინა ინფორმაცია უმოკლეს დროში კ ე რ ძ ო დ, რა სიხშირით იყენებენ მასწავლებლები კითხვის უნარის შეფასების მეთოდებს ,იყენებენ თუ არა დაბალანსებულ და დიფერენცირებულ მიდგომებს კითხვის სწავლებისას , რა სიხშირით აძლევენ მოსწავლეებს წასაკითხ მასალას; როგორია მოსწავლეთა მოტივაცია ამ მხრივ; მოსწავლეები რა სიხშირით უზიარებენ მასწავლებლებს წაკითხულ ნაწარმოებს. რა როლი აქვს საოჯახო, სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკას სასწავლო პროცესში. არის თუ არა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.

ჩემი მიზანი იყო დამედგინა, მასწავლებლისთვის რა ღირებულება აქვს გამართულ კითხვას, რა პრობლემებს აწყდება ამ კუთხით და როგორ წარმოუდგენია აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები.

მასწავლებელთა ანკეტირების მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილი N1 სახით:

	კითხვა N1	კითხვა N2	კითხვა N3	კითხვა N4	კითხვა N5	კითხვა N6	კითხვა N7	კითხვა N8	კითხვა N9	კითხვა N10	კითხვა N11	კითხვა N12	კითხვა N13
რესპოდენტი N1	ა	ა	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	გ	გ	ბ	ა
რესპოდენტი N2	ა	ბ	გ	ბ	ბ	ბ	ა	გ	ა	ბ	ბ	გ	ა
რესპოდენტი N3	ა	ბ	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	გ	გ	ბ	გ
რესპოდენტი N4	ბ	ბ	გ	ბ	გ	გ	ა	ა	ა	ბ	ბ	ბ	ა
რესპოდენტი N5	ბ	ბ	ბ	ა	გ	გ	ა	ა	ა	ბ	ბ	გ	გ
რესპოდენტი N6	ა	ბ	ბ	ბ	გ	გ	ა	ა	ა	ბ	ბ	გ	გ
რესპოდენტი N7	ბ	ბ	ბ	ბ	გ	გ	ა	გ	ა	დ	დ	გ	გ
რესპოდენტი N8	ბ	ბ	ბ	ბ	გ	ა	ა	ა	ბ	დ	დ	გ	გ

4.2 მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები










პროფესიული განვითარების მიზნით რა სიხშირით გეგმავთ საგნობრი და პროფესიული განვითარების ტრენინგებზე დასწრებას?
3 წელიწადში ერთხელ
წელიწადში ერთხელ
მუდმივად
13%
50%
37%


ესწრებით და ისწრებთ თუ არა კოლეგებს გაკვეთილებზე?
იშვიათად
არა
ხშირად
0%
100%


ეხმარებით თუ არა მოსწავლეებს ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით საკითხავი ტესტების შერჩევაში?
იშვიათად
ყოველთვის
არა
25%
50%
25%


იყენებთ თუ არა დაბალანსებულ და დიფერენცირებულ მიდგომებს კითხვის სწავლებისას?
დიახ
არა
ზოგჯერ
0%
13%
87%







✓ ანკეტირება მშობლებთან

მშობლების გამოკითხვა მოვახდინე სკოლაში.მათი რაოდენობა იყო -8 .მშობლებმა ანკეტები შეავსეს ანონიმურად. მშობელთა 76 % უპასუხა, რომ

არ არიან ჩართული შვილის სწავლის პროცესში . მხოლოდ 75% ცდილობს შვილისთვის ბიბლიოთეკის მოწყობას, 87% ასახელებს ,რომ სკოლასთან ახლომდებარე საბავშვო ბაღში, სადაც მათი შვილები სწავლობენ ცუდად ხორციელდება წინასასკოლო მზაობის პროგრამა კერძოდ სიტყვის დეკოდირების უნარის განვითარებისათვის -ლოგოგრაფიული კითხვის ძირითადი საფეხური მათ არა აქვთ გავლილი. ასევე 87% ასახელებს, რომ მათი შვილები კომპიუტერთან უფრო მეტ დროს ატარებენ ვიდრე წიგნებთან.

მშობელთა ანკეტირების შედეგები წარმოდგენილია N 2 ცხრილის სახით

	კითხვა N1	კითხვა N2	კითხვა N3	კითხვა N4	კითხვა N5	კითხვა N6	კითხვა N7	კითხვა N8	კითხვა N9	კითხვა N10	კითხვა N11	კითხვა N12	კითხვა N13	კითხვა N 14
რესპოდენტი N1	ა	ა	ა	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	დ	ბ	ა	ა	ბ
რესპოდენტი N2	ბ	ბ	ა	ბ	გ	ბ	ბ	ბ	ა	ბ	ბ	ბ	ა	ბ
რესპოდენტი N3	ბ	ა	ა	ა	ა	ბ	ა	ბ	ბ	ბ	გ	ბ	ა	ბ
რესპოდენტი N4	ბ	ბ	ა	ა	ა	ბ	გ	ბ	გ	ბ	გ	ბ	ა	ბ
რესპოდენტი N5	ბ	გ	ა	ა	ა	ბ	გ	ბ	გ	ბ	გ	ბ	ა	გ
რესპოდენტი N6	ბ	გ	ა	ბ	გ	გ	დ	ბ	გ	ბ	გ	ბ	ა	გ
რესპოდენტი N7	ბ	გ	ა	გ	დ	გ	დ	ბ	გ	ბ	გ	ბ	ა	გ
რესპოდენტი N8	გ	გ	გ	დ	დ	დ	დ	დ	გ	ბ	გ	ბ	ა	გ

4.3 მშობელთა გამოკითხვის შედეგები










ვახერხებ მოვაწყო საოჯახო ბიბლიოთაკა
დიახ
არა
ნაწილობროვ
სრულად ვერ ვახერხებ
25%
50%
25%
0%


ვსარგებლობ სხვისი ბიბლიოთეკით
ყოველთვის
ზოგჯერ
იშვიათად
არასდროს
0%
25%
50%
25%


თვალყურს ვადევნებ შვილს გაკვეთილის მომზადებაში
დიახ
არა
ნაწილობრივ
სრულად ვერ ვახერხებ
37%
25%
13%
25%


მიგაჩნიათ რომ საბავშვო ბაღში თქვენმა შვილმა სრულად გაიარა სასკოლო მზაობის პროგრამა?
დიახ
არა
ნაწილობრივ გაიარა
სრულიად არ გაუვლია
13%
0%
0%
87%


კმაყოფილი ხართ თქვენი შვილის სწავლის შედეგებით?
დიახ
არა
წაწილობრივ
25%
13%
62%


თქვენი შვილი წიგნთან უფრო მეტ დროს ატარებს თუ კომპიუტერთან?
წიგნთან
კომპიუტერთან
ვახერხებ დავიცვა ბალანსი ორივეს მოხმარების დრეფს
0%
13%
87%


შვილის მდგომარეობის შესწავლის მიზნით რა სიხშირით დადიხართ სკოლაში?
კვირაში ერთხელ
თვეში ერთხელ
სემესტრში ერთხელ
საერთოდ ვერ ვახერხებ მისვლას
0%
0%
25%
75%


საბავშვო წიგნებს ვყიდულობ
ხშირად
იშვიათად
ვერ(არ) ვყიდულობ
12%
12%
76%

- ✓ მოსწავლეების გამოკითხვის მიზანს შეადგენდა აღმომეჩინა მოსწავლეების დამოკიდებულება კითხვის პროცესის მიმართ, იყო თუ არა სახალისო მათთვის ეს პროცესი,აძალებდნენ მათ კითხვას თუ თავისი სურვილით კითხულობდნენ, როგორია დამოკიდებულება წიგნისა და კომპიუტერის მიმართ,სარგებლობდნენ თუ არა სკოლის ბიბლიოთეკით .კითხვარი შედგებოდა 11 კითხვისაგან.

მოსწავლეთა ანკეტირების შედეგები წარმოდგენილია N 3 ცხრილის სახით

	კითხვა N1	კითხვა N2	კითხვა N3	კითხვა N4	კითხვა N5	კითხვა N6	კითხვა N7	კითხვა N8	კითხვა N9	კითხვა N10	კითხვა N11
რესპოდენტი N1	ა	ა	ა	ა	არ უპასუხა	ა	ა	ა	ა	ა	ბ
რესპოდენტი N2	ა	ა	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	გ	ბ
რესპოდენტი N3	ა	ბ	ა	ა	არ უპასუხა	ა	ა	ა	ა	ა	ბ
რესპოდენტი N4	გ	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	გ	ბ
რესპოდენტი N5	გ	ბ	ა	ბ	ბ	ბ	გ	ა	ბ	გ	ბ
რესპოდენტი N6	გ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ა	ბ	გ	ბ
რესპოდენტი N7	გ	ბ	ბ	გ	ბ	ბ	ბ	ა	ბ	გ	ბ
რესპოდენტი N8	გ	ბ	ბ	გ	ბ	ბ	გ	გ	ბ	გ	ბ
რესპოდენტი N9	გ	ბ	ბ	გ	ბ	ბ	გ	გ	გ	გ	ბ

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები










წიგნებს არ ვკითხულობ, იმიტომ რომ
ვერ ვიგებ წაკითხულს
არ მაქვს საინტერესო წიგნები
უბრალოდ მეზარება
0%
22%
78%


გაქვს თუ არა საოჯახო ბიბლიოთეკა შენთვის საყვარელი და საინტერესო წიგნებით?
დიახ
არა
45%
55%


სარგებლობთ თუ არა სასკოლო ბიბლიოთეკით?
დიახ
არა
ზოგჯერ
არასდროს
0%
23%
22%
55%


გიყვართ თუ არა როცა სხვა გიკითხავთ?
დიახ
არა
ყოველთვის არა
0%
22%
78%


ოჯახის წევრები წიგნებს მჩუქნიან?
ხშირად
იშვიათად
არასოდეს
11%
22%
67%


მშობლები წიგნებს მიკითხავენ:
კვირაში რამდენჯერმე
თვეში ერთხელ
არ მიკითხავენ
22%
0%
78%


სახლში უფრო ხშირად:
წიგნებს კითხულობენ
ტელევიზორს უყურებენ
0%
100%

თავი V -ინტერვენცია

5.1 შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის მონაცემების ანალიზის საფუძველზე შვიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი:

- პროფესიული განვითარების მიზნით პედაგოგებს შორის თანამშრომლობის გაზრდა და მათი გადამზადება.
- ლექსიკის გამდიდრების მიზნით მრავალმხრივი აქტივობების გამოყენება.
- სასკოლო ბიბლიოთეკაში ჩართულობა.
- საკლასო სივრცის /საკითხავი კუთხის მოწყობა

- დაწყებითი კლასების მასწავლებლების თანამშრომლობა სოფლის საბავშვო ბაღის უფროსი ასაკის ჯგუფის მასწავლებლებთან.
- მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო პროცესში

5.2. განხორციელებული ცვლილებები

ზემოთმოცემული ინტერვენციის ვარიანტები განვიხილე დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან ,რის შემდეგაც შევარჩიეთ და განვახორციელეთ შემდეგი:

- ✓ დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის მოვიძიე ლიტერატურა, რომელიც დაეხმარებოდა მათ კითხვის ეფექტური სტრატეგიების გაცნობაში. განვიხილეთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და სტანდარტები.მასწავლებელთა ჯგუფში დავამუშავეთ G-PRIED-ის სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები 2015);ასევე ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა (I-VI კლასები .ნ. მაღლაკელიძე 2013)

მე-II თავში ლიტერატურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ,რომ G-PRIED-ის ზემოდხსენებული სასწავლო-მეთოდოლოგიურ რესურსების კრებული (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, 2015.) დაწყებითი

კლასების მასწავლებლებს დასახმარებლად ეფექტურ და ინოვაციურ მეთოდებს სთავაზობს. ვინაიდან ჩვენი სკოლა თავის დროზე ვერ ჩაერთო G-PRIED-ის პროექტში, ვთვლი რომ ჩვენი სკოლის დაწყებთი კლასების მასწავლებლებს ამ მხრივ ბევრი რამ დაგვაკლდა. დავგეგმე და 2018 წლის 20 ნოემბერს ორგანიზება გავუკეთე კოლეგების პირველ შეხვედრას ზემოდაღნიშნულ კრებულში აღნიშნული ინოვაციური მეთოდების განსახილველად. შევკრიბე დაწყებითი კათედრის პედაგოგები , მათთან განვიხილე რამდენიმე სტრატეგია ,რომელიც გაწაფულ კითხვის უნარს ავითარებს. პირველი შეხვედრის შემდეგ სასწავლო პროცესში დავიწყეთ მათი გამოყენება.გეგმის მიხედვით წარვმართე შემდგომი მეორე და მესამე შეხვედრაც. აღნიშნული აქტივობები პედაგოგებმა ასევე გამოიყენეს სქემის ფარგლებში კრედიტქულების დაგროვების მიზნითაც. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში პირადად დავგეგმე გაკვეთილები და დავისწარი კოლეგა მასწავლებლები ,რომლებმაც შემდგომ თვითონ გამოიყენეს აღნიშნული ეფექტური მეთოდები.

მნიშვნელოვნად დავიხმარეთ ასევე გვერდი kargiskola.ge ,საიდანაც მიღებული მასალა ეფექტურად გამოვიყენეთ.

მიმოვიხილავ ასევე გამოყენებულ შემდეგ აქტივობებს:

- ✓ განმეორებითი კითხვის აქტივობა

აღნიშნული აქტივობა ავითარებს მოსწავლეებში გაწაფული კითხვის უნარს და კითხვის პროცესი ხდება საინტერესო.მეთოდი დავნერგეთ ყველა კლასში. თითოეულმა მასწავლებელმა მოსწავლის ასაკის გათვალისწინებით შეარჩია ადეკვატური სირთულის მხატვრული ტექსტები . მასწავლებლებმა ამ მიზნით გამოყვეს დამატებითი(არასაგაკვეთილო) დრო .ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს,რომ სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა იყოფა მის წაკითხვაზე დახარჯულ დროზე და ვღებულობთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას , რომელიც დაფიქსირდება კონკრეტული მოსწავლის მონაცემად.ორი ან სამი დღის ინტერვალის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეს ისევ აკითხებს იგივე ტექსტს და ითვლის ისევ რამდენი სიტყვა წააიკითხა წუთში. ცხადია, შედეგი აუცილებლად გაუმჯობესებული იქნება.მესამე მცდელობაზე ბავშვი უკვე აზარტით ცდილობს შედეგი რაც შეიძლება გააუმჯობესოს. იგი მოტივირებულია და ხალისით ეკიდება კითხვის პროცესს.

აღნიშნული მეთოდი მეტად ეფექტურად მივიჩნიეთ ,რაც დავინახეთ კიდეც პრაქტკულადაც.

- ✓ ასევე ერთობლივად ვუყურეთ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ვიდეოგაკვეთილს -კითხვის ეფექტური სტრატეგიები. ყველა მასალის ირგვლივ ვმართავდით მსჯელობას, რა და როგორ შიძლება გამოგვეყენებინა გაწაფული კითხვის დაუფლებისთვის, ისე, რომ მოსწავლე ხალისით ჩართულიყო პროცესში და მისთვის მოსაბეზრებელი არ გამხდარიყო გამოყენებული აქტივობები.მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე დანერგილი სტრატეგიების შემდეგ ვახდენდით ეფექტური უკუკავშირის გაცემას. ვიყენებდით ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტს.

- ✓ მასწავლებლების დახმარებით პატარებს გავახშირებინე ბიბლიოთეკაში სტუმრობა.

- ✓ ჩავერთე კოლეგა მასწავლებლებთან ,,კითხვის საათის" განხორციელებასთან დაკავშირებით ; ერთმანეთთან თანამშრომლობით დავხვეწეთ იგი და შევიტანეთ ცვლილებები მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით.
- ✓ მოვაწყვეთ კონკურსი -,,ვინ კითხულობს კარგად?"
- ✓ სკოლაში შეიქმნა ,,მკითხველთა კლუბი" .კლუბის სამოქმედო გეგმის მიხედვით მოსწავლეების მოტივაციის გაზრდის მიზნით მოვაწყვეთ გასვლითი სასწავლო ექსკურსია პოეტ ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში.
- ✓ ჩავატარეთ დისკუსია -,,რა უფრო მნიშვნელოვანია, წიგნი თუ კომპიუტერი?'' . დისკუსიაში მოწვეული იყვნენ უფროსკლასელებიც.
- ✓ პირადად ჩავატარე აქტივობა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ,,კითხვის დღე"
- ✓ დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა განახორციელეს აქტივობა-,,მკითხველთა თაეტრი'',რომელიც მოსწავლეებს გააზრებული კითხვისა და ზეპირმეტყველების უნარების განვითარებაში ეხმარება და მატებს საკუთარი კითხვის უნარის რწმენას და თავდაჯერებულობას, რათა დამოუკიდებლად შეძლონ ხმამაღალი გამომსახველობითი კითხვა.

ვინაიდან ინტერვენციის დაგეგმვის დროს მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მშობელთა ჩართულობის გაზრდა სწავლის პროცესში ,ამისათვის დავგეგმეთ და განვახორციელეთ აქტივობები, რომელმაც ხელი შუწყო მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას – ჩატარდა დაწყებითი საფეხურის მშობლებთან შეხვედრები,სადაც პედაგოგები

მშობლებს ესაუბრენ კითხვის მნიშვნელობაზე, კითხვის პრობლემებზე და პრობლემების გამოსწორების გზებზე. მათ მიეცათ რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ჩაერთონ ისინი აქტიურად ამ პროცესში და დაეხმარონ თავიანთ შვილებს.

- ✓ ინტერვენციის ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანი ვარიანტი იყო სოფელში არსებული საბავშვო ბაღთან თანამშრომლობა, ვინაიდან კვლევის პროცესში რეალურად გამოიკვეთა მათი არაეფექტური მუშაობა, რაც ერთ-ერთი ხელისშმშლელი ფაქტორია დაწყებით კლასებში კითხვის უნარის ათვისების პროცესში.თანამშრომლობის მიზნით სტუმრად ვეწვიეთ მათ და ჩავატარეთ ღონისძიება ,,ჩვენი საყვარელი ზღაპრის გმირები". ასევე სტუმრად მოვიწვიეთ 27 მაისს პირველი კლასის ანბანის შესწავლის აღსანიშნავ მხატვრულ ღონისძიებაზე. აღნიშნული აქტივობების განხორციელებამ ხელი შეუწყო ბაღის მასწავლებლებსა და სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღვივებას , რის შემდეგაც დაიგეგმა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა, სადაც სკოლის პედაგოგებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მეთოდური დახმარება გაუწიეს საბავშვო ბაღის მასწავლებლებს ,რის შედეგსაც მომდევნო სასწავლო წელს ვნახავთ.

5.3. ინტერვენციის შეფასება

შეფასების მიზანს წარმოადგენდა გამეგო:

- რამდენად ეფექტურია კვლევის მიერ შემუშავებული კითხვის ტექნიკის გასაუმჯობესებელი გზების გამოყენება მოსწავლეებში.
- დაეხმარება თუ არა ამგვარი მიდგომები მოსწავლეებს შედეგების გაუმჯობესებაში.

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ჩავატარეთ ინტერვიუები დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან . უშუალოდ იმ პიროვნებებთან ,რომლებიც მონაწილეობდნენ ცვლილებების დაგეგმვაში და განხორციელებაში.პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა იქონია თუ არა გავლენა მასწავლებლების მუშაობაზე მათი პრობლემების კოლეგებთან განხილვამ და ერთობლივად დაგეგმილმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა.ამისათვის ჩავატარეთ ფოკუსჯგუფი მასწავლებლებთან.ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის , რაც მათ საუბარში აღნიშნეს .მასწავლებლების თქმით

გამოცდილების გაზიარება და მათ შორის გაცემული უკუკავშირი ეფექტური აღმოჩნდა.ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება ,ეფექტური უკუკავშირის მიღება,შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა და კოლეგებთან ერთად განხილვა , ეფექტური სტრატეგიებისა და მეთოდების დანერგვა მათ დაეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში.

მინდოდა დამედგინა რა დადებითი შედეგი მოგვცა მასწავლებლებისთვის ლიტერატურის გაცნობამ და ტრენინგებზე მიღებული ცოდნის ერთმანეთზე გაზიარებამ.ინტერვენციის შესაფასებლად განვახორციელე ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე (თითოეული მასწავლებლის 2-2 გაკვეთილი). გამოირკვა , რომ მოსწავლეები უფრო სწრაფად კითხულობდნენ და უფრო ადვილად ხდებოდა ტექსტების გაგება-გააზრება ,ვიდრე კვლევის მონაცემების შეგროვების ეტაპზე.

მშობლების დამოკიდებულებების დასადგენად ჩავატარე ფოკუსჯგუფი მათთან, სადაც გაირკვა, რომ მშობლებს ამჯერად მეტი ინფორმაცია აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უფრო მეტად ჩაერთონ საკუთარი შვილების სწავლა-წავლების პროცესში . მათ გულწრფელად აღიარეს აშკარა პროგრესი შვილების სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. მათ კარგად გაითავისეს ის რომ თავიანთი შვილების უკეთესი მიღწევებისათვის აუცილებელია დაწყებით კლასებში მასწავლებლებთან მეტი დრო დაუთმონ მათ კითხვის ტექნიკის უკეთ დაუფლებაში. დახმარონ ბავშვებს წიგნისა და კომპიუტერის მოხმარების დროს ბალანსის დაცვაში. ასევე გააანალიზონ, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში ბავშვთა სასკოლო მზაობის პროგრამის გავლა . ამრიგად გაირკვა, რომ მოიკლო იმ მშობელთა რიცხვმა ,რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი შვილების კითხვის დონით და სწავლის შედეგით.

ამრიგად , გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო.

თავი -VI
კვლევის მიგნებები, დასკვნები,რეკომენდაციები

6.1. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შეკრებისას გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება:

- მშობელთა დაბალი სამოქალაქო ცნობიერების დონე პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა სწავლის ხარისხსა და შედეგებზე .
- მასწავლებლების დაბალი კომპეტენცია,თანამედროვე მეთოდების და სტრატეგიების ნაკლებად ფლობა /გამოყენება და ერთმანეთთან თანამშრომლობის ნაკლებობა გვაძლევს ცუდ შედეგებს,რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის განათლების დონეზე.
- გართულებული კითხვის პროცესის გამო მოსწავლეებს შინაარსის გაგება უჭირთ,ამიტომ საჭიროა პროცესის მუდმივი მონიტორინგი და შეფასების წარმოება მასწავლებელთა მხრიდან.
- მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების გარეშე მუდმივად იარსებებს ზემოდგანხილული პრობლემა.

- წინასასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტურად განხორციელება არის ფუნდამენტური საძირკველი ,რომელიც მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში მოსწავლის განათლების დონის სასურველი ნიშნულის მისაღწევად და ამის გარეშე დაწყებით კლასების მასწავლებლები მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგანან.

6.2. დასკვნა

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა, რომ ზემოდჩამოთვლილი მიგნებები რეალურად წარმოადგენს კითხვის უნარის დაუფლების პრობლემებს. ანალიზის შედეგად გავაკეთე დასკვნა, რომ მოსწავლეებში კითხვის ინტერესის გაღვივებისათვის საჭიროა მეტი მუშაობა მისი ტექნიკის დახვეწაზე,თავიდანვე წიგნისა და წიგნიერების როლის გააზრებაზე არა მარტო სკოლის , არამედ მშობელთა მხრიდან ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებას კი სკოლამ უნდა შუწყოს ხელი.კარგად უნდა გავიაზროთ ,რომ სწორედ დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი იმ უნარების განვითარებას ,რომელიც შემდგომ კლასებში მნიშვნელოვანია მაღალი აკადემიური შედეგისათვის. ამისათვის კი საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობელსა და სკოლას შორის ასევე საჭიროა მუდმივი მზაობა პროფესიული განვითარების მიზნით ,რათა უწყვეტად ხდებოდეს სიახლეების გაცნობა და დანერგვა სასწავლო პროცესში.

6.3. რეკომენდაციები

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:
კვლევის შედეგად რეკომენდაციები ჩამოვაყალიბე შემდეგნაირად:

- ✓ მასწავლებლებმა ხშირად გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და ჰქონდეთ ერთმანეთთან მუდმივი თანამშრომლობა სწავლა-სწავლების საკითხებში ეფექტური შედეგის მიღწევის მიზნით.
- ✓ დანერგონ და გამოიყენონ კითხვის ეფექტური მეთოდები,ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით .მეტი იმუშაონ ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ,დაეხმარონ მოსწავლეებს შესაბამისი ლიტერატურის შერჩევაში და საჭიროების შემთხვევაში მომარაგებაში.ამუშაონ ტექსტში ახალი სიტყვების გაგებასა და ლექსიკური მარაგის განვითარებაზე.

- ✓ გონივრულ ვადებში ჩაატარონ მოსწავლეთა დიაგნოსტიკური ტესტირება იმის გასაგებად , რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სწავლა-სწავლება და კონკრეტულად რისი გაუმჯობესებაა საჭირო აღნიშნულ პროცესში.
- ✓ გაითვალისწინონ ,რომ კითხვის უნარის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სწორად შერჩეული სტრატეგიები,მეთოდები,საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების მიზანმიმართულად დაგეგმვა.
- ✓ ჰქონდეთ მჭიდრო და მუდმივი კავშირი მშობლებთან ,რათა ხელი შეეწყოს მოსწავლის არსებული ცოდნის დონის სწრაფ განსაზღვრას ,რასაც დროული და ეფექტური ქმედებების განხორციელება უნდა მოჰყვეს ,რათა თავიდანვე აღმოიფხვრას სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემა.
- ✓ მუდმივად იზრუნონ საკლასო სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით ,რათა შეიქმნას წიგნიერი გარემო ბავშვებისთვის.მოეწყოს საკლასო ბიბლიოთეკის კუთხე კლასებში.
- ✓ მაქსიმალურად მოიპოვონ ინფორმაცია მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გაზარდონ მათი მხრიდან აქტივობები ,რომელიც ხელს შეუწყობს კითხვის უნარის ეფექტურად დაუფლებას (მაგ: გამოყონ დამატებითი დრო, გამოიყენონ არაფორმალური განათლება წრეების და კლუბების სახით და ა. შ).

რეკომენდაციები მშობლებისთვის

- ✓ აჩვენონ პირადი მაგალითები თავიანთ შვილებს კითხვასთან დაკავშირებით . ესაუბრონ საკუთარი გამოცდილების შესახებ.
- ✓ მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი და ინტერესები ,ვინაიდან ინდივიდისთვის გასაგები ტექსტი ხელს უწყობს თავდაჯერებული მკითხველის ჩამოყალიბებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე.

- ✓ გაითვალისწინონ და ყურადღება მიაქციონ იმ ფაქტს, რომ კომპიუტერის ზედმეტი დოზით გამოყენება ხელს უშლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს კითხვის ტექნიკის დაუფლებაში, ვინაიდან ისინი უფრო მეტად თამაშობენ ვიდრე კითხულობენ და არ იცავენ ოქროს ბალანსს ,რომლის გათვალისწინებაც მეტად მნიშვნელოვანია.

ტექნოლოგიები სწორად და ეფექტურად იქნას გამოყენებული მიზნის მისაღწევად.

- ✓ მეტი ყურადღება დაუთმონ შვილებს წინასასკოლო ასაკში.

ვფიქრობ შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შუწყობს როგორც საკუთარი, ასევე კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას, სკოლაში ერთმანეთთან თანამშრომლობას , სწავლა -სწავლების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა კითხვის უნარების დაუფლებას და წიგნიერების დონის ამაღლებას.

მნიშვნელოვანი იქნება გაგრძელდეს კვლევა და შვისწავლო რა შედეგებს მომცემს განხორციელებული ცვლილებები .აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შუძლიათ კოლეგა მასწავლებლებს , რომლებსაც ანალოგიური პრობლემა წარმოეშვათ მი მისი გამომწვევი მიზეზებიც იდენტურია.

თავი VII - ბიბლიოგრაფია, დანართები;რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე

7.1 ბიბლიოგრაფია

1.გზამკვლევი მასწავლებლებისთვის I-VI კლასების ქართული ენა და ლიტერატურა -ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი თბილისი-2011;
2.გაგოშიძე თ. N10 (138) 9-10, 2016წ. სტატია: „კითხვის უნარის დარღვევა“, ჟურნალი “ავერსი“ ,
3.გზამკვლევი მასწავლებლებისთვის I-VI კლასების ქართული ენა და ლიტერატურა -ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი თბილისი-2011
4.http://mastsavlebeli.ge/ - ინტერნეტგაზეთი "მასწავლებელი" 15 ოქტომბერი 2013წ; 21 იანვარი 2013წ;
5.განვითარების და სწავლების თეორიები(მასწ. პროფესიული განვითარების ცენტრი 2008)
6.კითხვის ეფექტური მეთოდები -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი-2013 ;
7.,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების ,პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწ. II

8. მასწავლებლის წიგნი-ჯანელიძე ა. /ლაბარტყავა ნ. 2014

9. როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები 2015 სოფიკო ლოჯანიძე
10.საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში -ი. კუტალაძე 2012
11. სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსის კრებული -კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე I-VI კლასები 2015 (G-pried)

12. PIRLS 2011 ,,წიგნიერება.კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასზე ზემოქმედი ფაქტორები“
13.ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა -ნ. მაღლაკელიძე 2013

14. https://khantadze.wordpress.com -მ.ხანთაძე 2016/03/13/ „კითხვის-ჩვევა“ , 15.03.2017წ.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: ,,კითხვის უნარების დაუფლების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები დაწყებით საფეხურზე“.აღნიშნული თემა იმიტომ ავირჩიე ,რომ არ მომწონდა დაწყებითი კლასის მოსწავლეების კითხვის სისწრაფე და წაკითხულის გაგება -გააზრების დონე.ამიტომაც გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა ,რათა დამედგინა რა იყო აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები დაწყებით კლასებში .სკოლა მცირეკონტიგენტიანია , ამიტომაც ჩემთან ერთად ამ კვლევაში ჩაერთო დაწყებითი კლასების დანარჩენი მასწავლებლებიც, ვინაიდან აღნიშნული პრობლემა მათთვისაც აქტუალური იყო.

კვლევა საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა.გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები ,რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით წამიყვანდა.

კვლევის დროს ამოსავალი იყო საგაკვეთილო დაკვირვება ,რომელიც მნიშნელოვანი იყო არა მარტო უშუალოდ კვლევის დაწყებამდე, არამედ განხორციელებული ინტერვენციების შემდგომ.

კვლევის პროცესში კოლეგები თავადაც იჩენდნენ ინიციატივას ,მიეღოთ ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის შესახებ.აქედან გამომდინარე ხდებოდა შუალედური შედეგების გაზიარება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებშიც. ძირითადად მასწავლებელთა შეხვედრა მოეწყო სამეტაპად:

1) ინტერვენციის დაგეგმვის დროს ,როდესაც შეიკრიბა მონაცემები კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით;
2) შუალედური შეხვედრა;
3) შეხვედრა ინტერვენციის დასრულების შემდეგ;

კვლევის ჯგუფის პირველი შეხვედრა შედგა მას შემდეგ, რაც კვლევის სხვადასხვა მეთოდებით შევაგროვე მონაცემები მშობლების ,მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან მიღებული ინფორმაციით .ამ შეხვედრაზე პედაგოგებმა გააანალიზეს მონაცემები და გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად,თუ რა მიმართულებით უნდა მომხდარიყო მუშაობის წარმართვა .სწორედ ამ შეხვედრაზე შედგა სამოქმედო გეგმა ,რომელიც მოიცავდა განსახორციელებელ ინტერვენციებს.ჩვენი გეგმა მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას: 1) რა ღონისძიებებისთვის უნდა მიგვემართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით და მათი ერთმანეთთან თანამშრომლობის გაზრდის კუთხით .2) როგორ უნდა გაგვეზარდა მშობელთა ჩართულობა სწავლის პროცესში.3) რა უნდა გაგვეკეთებინა მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისათვის ,რათა მათთვის კითხვის პროცესი სახალისო პროცესად გადაქცეულიყო.

მასწავლებლების მეორე სრული შეხვედრა ჩატარდა ინტერვენციის განხორციელების შემდეგ.ამ შეხვედრაზე მოხდა სრული განხილვა და შეფასება ყველა ჩატარებული ღონისძიების /აქტივობის . შეჯამების შემდეგ მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ იმისათვის, რომ განხორციელებული კვლევის შედეგები მდგრადი იყოს, ამ თემაზე მასწავლებლების შეხვედრები გაიმართოს ხშირად და მიეცეს რეგულარული სახე . რადგანაც ამ მგზით ხშირად განიხილება ყველა ის მოსალოდნელი საფრთხე, რამაც ხელი შეიძლება შეუშალოს პროექტის მდგრადობას.მასწავლებლებმა გამოიჩინეს ინიციატივა ,რომ მომავალში დაწყებით კლასებში უწყვეტად მოხდეს კვლევის პროცესში განხორციელებული ეფექტური ატივობების გამოყენება .

ამ კვლევის დადებითი მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის,რომ მოსწავლეების ინტერესების სფერო დეტალურად შევისწავლეთ საგაკვეთილო პროცესებთან მიმართებაშიც და არაფორმალური განათლების მიმართულებითაც.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პასუხი გაეცა კვლევის მთავარ კითხვებს ,სწორად შემუშავდა არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და კოლეგების ერთმანეთთან თანამშრომლობით განხორციელდა ცვლილებები , რომლებმაც შედეგზე გაგვიყვანა. რასაკვირველია კვლევის განხორციელების დრო- არ არის საკმარისი პრობლემის ბოლომდე აღმოსაფხვრელად , მაგრამ ეს პროცესი ნამდვილად გახდა საფუძველი იმისა , რომ სკოლაში მომავალშიც გაგრძელდეს მსგავსი მოსწავლეზე ორიენტირებული სწორად მიგნებული აქტივობები,რომლის განხორციელებაც სარგებელს მოუტანს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს.

ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კვლევის ეტაპების მიმდინარეობისას სხვა დანარჩენ პრობლემებთან ერთად გამოიკვეთა ერთი მეტად აქტუალური პრობლემა მე-3 კლასელი მოსწავლეების ტყუპი და-ძმა ფატი და ჯაბა სილაგაძეებთან დაკავშირებით. (პ/N 60150010474 ;პ/N 6055001047) . მოსწავლეებს ჰქონდათ კითხვის (ასევე წერის) საკმაოდ სერიოზული პრობლემა. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა, რომ მათ ჰქონდათ მძიმე სოციალური ოჯახური მდგომარეობა. არიან დედით ობლები .ოჯახში ერთადერთი შემომტანი მამა მუდმივად დაკავებულია . ბავშვებს 5 წლის ასაკამდე საერთოდ არ უვლიათ საბავშვო ბაღში . დავიხმარე სკოლაში მყოფი სპეციალური მასწავლებელი და ვინაიდან აღნიშნული მოსწავლეები ნამდვილად საჭიროებდენ ინდივიდუალურ დახმარებას , ადმინისტრაციის ჩარევით და მამასთან შეთანხმებით მივმართეთ რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთის რეგიონალური მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრებს საკითხის შესასწავლად, რათა აღნიშნულ მოსწავლეებთან საჭირო ვადით მოხდეს ეფექტური ჩარევა სკოლის მხრიდან .

კვლევის დასრულების შემდგომ გამოვიტანე დასკვნა, რომ სკოლებისათვის პრაქტიკის კვლევა პრობლემის შესწავლის საუკეთესო საშუალებაა,რომელიც საშუალებას აძლევს არა მარტო მასწავლებელს ,არამედ სკოლასაც არსებული პრობლემური საკითხების გამოსწორებასა და გაუმჯობესებას .

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თანამშრომლობის მიზნით კვლევის შედეგები გავუზიარე სკოლის დანარჩენი კათედრის წევრებს და ასევე მეზობელი სკოლის ადმინისტრაციების წარმომადგენლებს და დაწყებითი კლასის მასწავლებლებს , რომლებისგანაც მივიღე ეფექტური უკუკავშირი და გავაანალიზე იგი ,რის საფუძველზეც შემიძლია გამოვიტანო დასკვნა ,რომ:

- კოლეგები მზად არიან თავიანთ პრაქტიკაშიც დანერგონ მსგავსი ტიპის კვლევები .
- კვლევები დაეხმარებათ მათ პროფესიულ განვითარებაში.
- ასეთი ტიპის კვლევითი სამუშაოები დაეხმარებათ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში .

კვლევის პრეზენტაციის შემდეგ კოლეგა მასწავლებლებს გაუჩნდათ სურვილი უახლოეს მომავალში დავგეგმოთ და განვახორციელოთ კვლევა თემაზე : ,,სასკოლო მზაობის პროგრამის არაეფექტური მუშაობით გამოწვეული პრობლემები დაწყებით კლასებში".მიმაჩნია, რომ ასეთი ტიპის კვლევების ჩატარება ხელს შუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას ,რადგანაც სანდო მონაცემებზე დაყრდნობით შეეცდებიან გააუმჯობესონ სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემა ,ამით კი თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკას გააუმჯობესებენ .ყველაფერი ეს კი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების და სკოლის ეფექტური მუშაობის საფუძველი გახდება , რაც ჩვენი პრიორიტეტია.

7.5 დანართები

დანართი N 1
კითხვარი მასწავლებლებისათის

ძვირფასო მასწავლებლებო, ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე:კითხვის უნარის დაუფლებისპრობლემები და მისი გადაჭრის გზები დაწყებით საფეხურზე.თქვენი მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. ამ კითხვარის შევსებით თქვენ დაგვეხმარებით მიზნის მიღწევაში.

პატივისცემით სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის დირექტორი/ დაწყებითი კლასების მასწავლებელი ირმა გუგავა

1. სკოლაში მუშაობის სტაჟი

ა) 0-დან 5 წლამდე
ბ) 5 -დან 10 წლამდე
გ) 10-დან ზევით

2. გაქვთ თუ არა გავლილი ტრენინგები საგნობრივი მიმართულებით ?
ა) დიახ
ბ) არა

3.რა დროს უთმობთ გაკვეთილზე კითხვით აქტივობებს ?
ა) 5 წთ.
ბ)10 წთ
გ) 15 წთ.

4.კითხვის უნარების დაუფლების მიზნით მოწყობილი გაქვთ თუ არა საკლასო სივრცე
ა) დიახ
ბ) არა
დ) ნაწილობრივ

5.თანამშრომლობთ თუ არა კოლეგებთან

ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

6.პროფესიული განვითარების მიზნით რა სიხშირით გეგმავთ თუ არა საგნობრივ და პროფესიული განვითარების ტრენინებზე დასწრებას
ა) 3 წელიწადში ერთხელ
ბ) წელიწადში ერთხელ
გ) მუდმივად

7. ესწრებით და ისწრებთ თუ არა კოლეგებს გაკვეთილებზე
ა) იშვიათად
ბ)არა
გ) ხშირად

8) ეხმარებით თუ არა მოსწავლეებს ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით საკითხავი ტექსტების შერჩევაში

ა) იშვიათად

ბ) ყოველთვის

გ) არა

9. იყენებთ თუ არა დაბალანსებულ და დიფერენცირებულ მიდგომებს კითხვის სწავლებისას

ა) დიახ ბ) არა გ) ზოგჯერ

10.რა სიხშირით აძლევთ მოსწავლეებს დამატებით საკითხავ ტექსტებს

ა) ყოველდღიურად

ბ) კვირაში ერთხელ

გ) კვირაში სამჯერ

დ)ვერ ვახერხებ მივსცე წასაკითხი მასალა

11. რა სიხშირით ახდენთ დამატებით წასაკითხი მასალის გამოკითხვას

ა) ყოველდღიურად

ბ) კვირაში ერთხელ

გ) კვირაში სამჯერ

დ) ვერ ვახერხებ გამოვკითხო წასაკითხი მასალა

12. რა სიხშირით იყენებთ კითხვის უნარის შეფასების მეთოდებს

(სკრინინგი,დიაგნოსტირება,პროგრესის მონიტორინგი)

ა) ყოველ თვეში

ბ) სემესტრში ერთხელ

გ) სასწავლო წელში ერთხელ

13 .ითვალისწინებთ თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს სწავლების პროცესში?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ ვითვალისწინებ

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

დანართი N 2

კითხვარი მშობლებისთვის

ძვირფასო მშობლებო, ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე:კითხვის უნარის დაუფლებისპრობლემები და მისი გადაჭრის გზები დაწყებით საფეხურზე.თქვენი მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. ამ კითხვარის შევსებით თქვენ დაგვეხმარებით მიზნის მიღწევაში.

პატივისცემით სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის დირექტორი/ დაწყებითი კლასების მასწავლებელი ირმა გუგავა

1.ვუთმობ დროს შვილის სწავლების პროცესს

ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

2 .ვეხმარები შვილებს კითხვის უნარების განვითარებაში
ა) ყოველთვის
ბ) ზოგჯერ
გ) ვცდილობ , მაგრამ ვერასდროს ვახერხებ

3.შვილს (შვილებს) წიგნებს ვერ ვუკითხავ იმიტომ რომ:

ა) ამის დრო არ მაქვს;
ბ) არ გვაქვს სახლში საბავშვო ლიტერატურა;
გ) ჩემ ფუნქციებში არ შედის;

4.მონაწილეობას ვღებულობ საკლასო აქტივობებში
ა) ყოველთვის
ბ) ზოგჯერ
გ) იშვიათად
დ) არასდროს

5. ვახერხებ მოვაწყო საოჯახო ბიბლიოთეკა
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
დ) სრულიად ვერ ვახერხებ

6.ვსარგებლობ სხვისი ბიბლიოთეკით
ა) ყოველთვის
ბ) ზოგჯერ
გ) იშვიათად
დ) არასდროს

7.თვალყურს ვადევნებ შვილს გაკვეთილის მომზადებისას
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ
დ) სრულიად ვერ ვახერხებ

8.მიგაჩნიათ რომ საბავშვო ბაღში თქვენმა შვილმა სრულად გაიარა სასკოლო მზაობის პროგრამა?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ გაიარა
დ) სრულიად არ გაუვლია

9.კმაყოფილი ხართ თქვენი შვილის სწავლის შედეგებით?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ნაწილობრივ

10.თქვენი შვილი წიგნთან უფრო მეტ დროს ატარებს თუ კომპიუტერთან?

ა) წიგნთან
ბ) კომპიუტერთან
დ) ვახერხებთ დავიცვათ ბალანსი ორივეს მოხმარების დროს

11.შვილის მდგომარეობის შესწავლის მიზნით რა სიხშირით დადიხართ სკოლაში ?

ა) კვირაში ერთხელ
ბ) თვეში ერთხელ
გ) სემესტრში ერთხელ
დ) საერთოდ ვერ ვახერხებ მისვლას

12.საბავშვო წიგნებს ვყიდულობ:

ა) ხშირად;
ბ) იშვიათად;
გ) ვერ (არ) ვყიდულობ;

13.ვერ ვყიდულობ, იმიტომ რომ:

ა) ძვირია;
ბ) არჩევანის საშუალება არ არის;
გ) არ მცალია;

14 .რა გიშლით ხელს უფრო მეტად ჩაერთოთ შვილის სწავლის პროცესში ?

ა. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ხელისშემშლელი ფაქტორები არ მაქვს.
ბ) ხელი მეშლება იმიტომ, რომ სამსახურში მაქსიმალურად დაკავებული ვარ .
გ.ხელი მეშლება ოჯახური მდგომარეობის გამო(გთხოვთ კონკრეტულად მიუთითოთ----------
----------)

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

დანართი N 3

მოსწავლის კითხვარი

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე:კითხვის უნარის დაუფლებისპრობლემები და მისი გადაჭრის გზები დაწყებით საფეხურზე.თქვენი მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. ამ კითხვარის შევსებით თქვენ დაგვეხმარებით მიზნის მიღწევაში.გთხოვთ ყურადღებისთ გაეცნოთ კითხვებს და გასცეთ პასუხი

1.როგორი წიგნების კითხვა გიყვარს?

ა) ზღაპრის
ბ) სათავგადასავლო ნაწარმოებების
გ) ფერადი ილუსტრირებული ნაწარმოების
დ) არცერთის

2. წიგნის კითხვა უფრო მოგწონს თუ კომპიუტერტან თამაში?

ა) წიგნის კითხვა
ბ) კომპიუტერთან თამაში
გ) ორივე

3. კითხვის პროცესი ჩემთვის:

ა) სასიამოვნოა;
ბ) მოსაწყენი და მოსაბეზრებელია;

4. წიგნებს ვკითხულობ:

ა) საკუთარი სურვილით;
ბ) იმიტომ რომ მაძალებენ;
გ) არ ვკითხულობ;

5. წიგნებს არ ვკითხულობ, იმიტომ რომ:

ა) ვერ ვიგებ წაკითხულს;

ბ) არ მაქვს საინტერესო წიგნები;

გ) უბრალოდ მეზარება;

6. გაქვს თუ არა სახლში საოჯახო ბიბლიოთეკა შენთვის საყვარელი და საინტერესო წიგნებით?
ა) დიახ
ბ) არა

7.სარგებლობ თუ არა სასკოლო ბიბლიოთეკით?
ა) დიახ
ბ) არა
გ) ზოგჯერ
დ) არასდროს

8..გიყვარს თუ არა როცა სხვა გიკითხავს?
ა) დიახ
ბ) არა
გ)ყოველთვის არა

9. ოჯახის წევრები წიგნებს მჩუქნიან:
ა) ხშირად;
ბ) იშვიათად:
გ) არასოდეს;

10.მშობლები წიგნებს მიკითხავენ:

ა) კვირაში რამდენჯერმე;
ბ) თვეში რამდენჯერმე;
გ) არ მიკითხავენ;

11. სახლში უფრო ხშირად:

ა) წიგნებს კითხულობენ;
ბ) ტელევიზორს უყურებენ;

გმადლობთ მონაწილეობისათვის!